სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ა(ა)იპ - ბათუმის ტურისტული სააგენტო

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

პრეამბულა

ქ. ბათუმი აპრილი, 2013 წელი

უმაღლესი სახელოვნებო განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრინციპების, სწავლებისა და შემოქმედების ინტეგრირების, ერთობლივი სანახაობითი ღონისძიებების განხორციელების მიზნით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და ბათუმის ტურისტული საგენტო თანხმდებიან თანამშრომლობაზე.

ურთიერთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- შემოქმედებითი მუშაობისა და აკადემიური განათლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- ტეორიული და საშემსრულებლო მიმართულების სპეციალისტთა მიერ მასტერკლასებისა და სხვა სასწავლო-შემოქმედებითი მუშაობის ჩატარებას;
- სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკისათვის ხელშეწყობას;
- ცალკეულ მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებაში თანამშრომლობასა და კონსულტაციების გაწევას;
- ერთობლივი შემოქმედებითი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას.

მუხლი 1

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას ერთობლივი პროექტების მომზადების, განხორციელებისა და აუცილებელი რესურსების მოზიდვის მიზნით.
1.2. თითოეული მხარის მატერიალურ-ტექნიკურ რესურს გამოიყენებენ უნივერსიტეტის პროფესორები, პედაგოგები, სასწავლო-შემოქმედებით პროცესში ჩართული სტუდენტები, ბათუმის ტურისტული სააგენტოს თანამშრომლები და სპეციალისტები.
1.3. მხარეები გაუწევენ ერთმანეთს კონსულტაციებს და განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო-შემოქმედებით და სანახაობით პროექტებს.
1.4. მხარეები ურთიერთშეთანხმებით მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და სხვა.) აკადემიური პროგრამების პრაქტიკასთან დაახლოებისა და კომპეტენციების ჩამოყალიბების მიზნით.
1.5. ბათუმის ტურისტული სააგენტო საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში უზრუნველყოფს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების პრაქტიკის გავლას.
1.6. განახორციელებენ ერთობლივ შემოქმედებით პროექტებს, კონკურსებსა და ფესტივალებს.

მუხლი 2
2.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირედება ორმხრივი შეთანხმებით.
2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პირობას.

მუხლი 3
3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.
3.2. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.
3.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირები გადაეცემა მხარეებს.

ა(ა)იპ - ბათუმის ტურისტული
სააგენტოს დირექტორი — ე. ჭანიშვილი

ს(ა)ი(ა)პ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი — ე. მესხია